დანართი 3

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"
Charity Humanitarian Centre “Abkhazeti”

ეთიკის კოდექსი

წინამდებარე ეთიკის კოდექსი სავალდებულოა ა(ა)იპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"-ს (სჰც "აფხაზეთი") ყველა ხელშემკვრელი მხარისათვის, რომლებიც ასევე ვალდებულნი არიან, მოახდინონ ეთიკის აღნიშნული სტანდარტების გავრცელების წახალისება, ადვოკატირება და მხარდაჭერა. ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია, ეთიკის კოდექსის პრინციპები გააცნოს ხელშემკვრელი მხარის მიერ გამოყენებულ ნებისმიერ ქვეკონტრაქტორს და მოუწოდოს ქვეკონტრაქტორს აღნიშნულ სტანდარტებთან შესაბამისობისაკენ. ეთიკის კოდექსი ვრცელდება სჰც "აფხაზეთი"-ს ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეზე, რომელმაც აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით უნდა დაადასტუროს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა მისი სტატუსიდან გამომდინარე.

1. ადამიანთა უფლებების აღიარება

1.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ დაარღვევს ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციითა და აღნიშნული კონვენციის ნებისმიერი ოქმით გათვალისწინებულ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, და აღიარებს ყველა ადამიანის ღირსებასა და ღირებულებებს, კაცთა და ქალთა თანაბარი უფლებების აღიარების ჩათვლით.

2. უკანონო აქტივობა

2.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ არის ჩართული ნებისმიერი სახის უკანონო საქმიანობაში.

3. ანტიკორუფცია

3.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ არის ჩართული ნებისმიერი სახის კორუფციაში, რომელიც საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) მიერ განმარტებულია, როგორც მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება პირადი ანგარების მიზნით, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, ფულის გათეთრებას, ქრთამს, არაოფიციალურ გადასახადებს, გაფლანგვას, გამოძალვას, ფავორიტიზმს, თაღლითობასა და მართლმსაჯულების აღსრულებისათვის ხელის შეშლას.

4. ტერორიზმი

4.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ არის ჩართული ტერორიზმთან ასოცირებულ ნებისმიერ პიროვნებასა და ორგანიზაციასთან დაკავშირებულ რაიმე სახის ტრანსაქციაში, ან/და მათთვის რესურსების მიწოდებასა და სხვაგვარი მხარდაჭერის გაწევაში.

4.2 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ არის ჩართული ტერორიზმთან ასოცირებულ ნებისმიერ პიროვნებასა და ორგანიზაციასთან დაკავშირებულ რაიმე სახის ტრანსაქციაში, ან/და მათთვის რესურსების მიწოდებასა და სხვაგვარი მხარდაჭერის გაწევაში, არ გადის არანაირი სახის ტრენინგს, ან არ არის ჩართული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1999 წლის 9 დეკემბერს ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ

54/109-ე რეზოლუციით დამტკიცებული საერთაშორისო კონვენციის მე-2 მუხლის I, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ ნებისმიერ აქტში, ან სამართალდარღვევაში.

5. გარემო

5.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ არღვევს გარემოს დაცვის შესახებ არცერთ საერთაშორისო შეთანხმებას.

5.2 ხელშეკრულების მხარე უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი ფრთხილ მიდგომას და არ მოახდენს გარემოს დაზიანებას, განადგურებას, ან მისთვის რაიმე სახის საფრთხის წარმოქმნას. ამას გარდა, ხელშეკრულების მხარე უზრუნველყოფს გარემოსათვის უსაფრთხო ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებასა და გავრცელებას და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და მდგრადობის მხარდამჭერი ინივიატივების განხორციელებას.

6. ნაღმები და იარაღი

6.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ არის აქტიურად და პირდაპირ, ან ირიბად ჩართული ნაღმების შექმნასთან, აწყობასთან, წარმოებასთან, გაყიდვასთან, ან დამზადებასთან დაკავშირებულ საპატენტო საქმიანობაში, ან ზემოჩამოთვლილ საქმიანობასთან იმ კომპონენტებთან მიმართებაში, რომლებიც ძირითადად გამოიყენება ნაღმების დამზადებისას. ტერმინი „ნაღმი“ გამოიყენება გაეროს 1980.20.2 კონვენციის „ჩვეულებრივი იარაღის გარკვეული სახეობების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ, რომლებიც ჭარბი ზიანის მომტანად ან განურჩეველი მოქმედების მქონედ შეიძლება ჩაითვალოს“ მე-2 ოქმის მე-2 მუხლის I, მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული აღჭურვილობის აღსაწერად.

6.2 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ არის აქტიურად და პირდაპირ, ან ირიბად ჩართული იარაღის შექმნასთან, აწყობასთან, წარმოებასთან, შენახვასთან, გაყიდვასთან, ან დამზადებასთან დაკავშირებულ საპატენტო საქმიანობაში, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, ცეცხლსასროლ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და ბირთვულ იარაღს.

7. სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა

7.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ ის და ყველა მისი ქვეკონტრაქტორი იცავს ყველა ადამიანს სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციისაგან, მოწყვლადობიდან გამომდინარე, დიფერენციალური ძალაუფლების, ან ნდობის სექსუალური მიზნებისათვის ნებისმიერი სახით ბოროტად გამოყენების, ან ბოროტად გამოყენების მცდელობის ჩათვლით, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, სხვა ადამიანის სექსუალური ექსპლუატაციიდან მატერიალური, სოციალური, ან პოლიტიკური მოგების მიღებას. ანალოგიურად, ტერმინი „სექსუალური ძალადობა“ ნიშნავს სექსუალური ხასიათის რეალურ ფიზიკურ ხელყოფას, ან ფიზიკური ხელყოფის საფრთხეს, იქნება ეს ძალის გამოყენებით, თუ არათანაბარ, ან იძულებით პირობებში.

8. ბავშვთა შრომა

8.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ არის ჩართული ნებისმიერ საქმიანობაში, რომელიც არ შეესაბამება ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებს, კონვენციის 32-ე მუხლის ჩათვლით, რომლის თანახმადაც, სხვა დებულებებთან ერთად, სავალდებულოა, რომ ბავშვი დაცული იქნას ნებისმიერი ისეთი სახის სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება იყოს სახიფათო, ან ხელი შეუშალოს ბავშვის განათლებას, ან იყოს საშიში ბავშვის ჯანმრთელობის, ან მისი ფიზიკური, გონებრივი, სსულიერი, მორალური, ან სოციალური განვითარებისათვის

9. იძულებითი შრომა

9.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ იყენებს იძულებითი და სავალდებულო შრომის რომელიმე ფორმას.

10. სამუშაო პირობები

10.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ უშვებს ისეთ სამუშაო პირობებს, რომლებიც არღვევს შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ 1981 წლის კონვენციას, კონვენციის 2002 წლის ოქმის ჩათვლით, ხელფასის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ 1970 წლის კონვენციასა და სამუშაო საათების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Labour Organization (ILO) კონვენციებს.

10.2 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ ის და მისი ყველა ქვეკონტრაქტორი იცავს თანამშრომლებს სამუშაო ადგილზე კოლეგების, ან ხელმძღვანელების მხრიდან ფიზიკური, სიტყვიერი, სექსუალური, თუ ფსიქოლოგიური დამცირების, ძალადობის ნებისმიერი აქტის, ან საფრთხისაგან.

11. სამუშაო პირობებით დისკრიმინაცია

11.1 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ არც ის და არც მისი რომელიმე ქვეკონტრაქტორი არ ახდენს თანამშრომლებიც დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, გენდერის, ენის, პოლიტიკური, ან სხვა მოსაზრების, კლასის, ეროვნული, ან სოციალური წარმომავლობის, ქონების, დაბადების, კავშირში გაერთიანების, სექსუალური ორიენტაციის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, ან სხვა ნებისმიერი განმასხვავებელი ნიშნის მიხედვით.

11.2 ხელშეკრულების მხარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ ის და მისი ყველა ქვეკონტრაქტორი დასაქმებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, დაქირავების, გათავისუფლების და პენსიაზე გასვლის ჩათვლით, იღებს მხოლოდ შესაბამის და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

12. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

12.1 ხელშეკრულების მხარე იღებს ვალდებულებას, ნებისმიერ დროს და სჰც "აფხაზეთი"-ს შეხედულებისამებრ მოახდინოს ნებისმიერი შესაბამისი მასალის სრულად განსაჯაროება, რათა სჰც "აფხაზეთმა" შეძლოს ეთიკის წინამდებარე კოდექსის ნებისმიერი სავარაუდო დარღვევის შემოწმება.

ეთიკის წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ნებისმიერი პუნქტისა და გარანტიის ნებისმიერი სახით დარღვევა უფლებას აძლევს სჰც "აფხაზეთს", ყოველგვარი დანახარჯების გარეშე და ხელშემკვრელი მხარისათვის აღნიშნულის შეტყობინებისთანავე დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნებისმიერი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელშემკვრელ მხარესთან.

აკაკი წერეთლის გამზირი 41 თბილისი ,საქართველო